ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №52

19.11.2020 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარის მ/შ;
2. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. დავით რურუა - კომისიის წევრი;
5. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (12-032031836-03; 13.11.2020).

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

გ.თალაკვაძე - წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა **840 302,5 ათასი ლარით,** რაც 2020 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა **1 021 400,6 ათას ლარს,** შემცირებულია **181 098,1 ათასი ლარით.** ბიუჯეტის შემცირება

გამომდინარეობს იქიდან, რომ მიმდინარე წელს იკლო საკუთარმა შემოსავლებმა. აქვე უნდა გაცნობოთ, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაგეგმილია ტრანსფერი 125 000 000 ლარის ოდენობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 72 223,2 ათასი ლარით.
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 140 088,3 ათასი ლარით.
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 106 218,4 ათასი ლარით.
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 4 164,4 ათასი ლარით.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 39 157,3 ათასი ლარით.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 164 376,9 ათასი ლარით.
- განათლება - 162 919,0 ათასი ლარით.
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 38 814,5 ათასი ლარით.
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 4 402,3 ათასი ლარით.
- ქალაქ თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 107 938,2 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია 682 013,3 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 72 629,2 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურება 124 242,9 ათასი ლარით, პროცენტი 7 651,0 ათასი ლარით, სუბსიდიები 213 884,2 ათასი ლარით, გრანტები 511,8 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფა 159 740,3 ათასი ლარით, სხვა ხარჯები 103 353,9 ათასი ლარით. მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა: ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

2021 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა **15 464,4 ათასი** ლარით, რაც ნიშნავს იმას, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრულია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი - **2 500,0 ათასი** ლარის ოდენობით და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - **2 000,0 ათასი** ლარის ოდენობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლები განსაზღვრულია **820 159,3 ათასი** ლარით, სხვა შემოსავლები **156 867,4 ათასი** ლარით. მათ შორის, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე (შემოსულობების კოდი: 14223993) **1 500,0 ათასი** ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით ასევე გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა. ვალის საპროგნოზო მოცულობა 2021 წლის ბოლოსთვის განსაზღვრულია **725 859,0 ათასი** ლარის ოდენობით. მათ შორის:

- ✓ **თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 16 444,4 ათასი** ლარით. პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში, განხორციელდა საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის (euro 6) ადაპტირებული ავტობუსებით.

- ✓ **თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 47) - 3 200,0 ათასი** ლარით. პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში, განხორციელდება საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის ადაპტირებული ავტობუსებით. ასევე, ავტობაზის მშენებლობა.

- ✓ **თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) - 3 000,0 ათასი** ლარით. პროგრამა ემსახურება მეტროს რეაბილიტაციის მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში, განხორციელდება ახალი თანამედროვე ევროპული სტანდარტების მეტროს ვაგონების შესყიდვა, დეპოს კაპიტალური შეკეთება და შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაცია.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, **ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (კოდი 01 02)** განისაზღვრა **10 158,5 ათასი** ლარით. აღნიშნული თანხა მთლიანად მოხმარდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს **(კოდი 01 02 01).** ქვეპროგრამის მიზანია ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, გზაჯვარედინების რეკონსტრუქცია და გადასასვლელების მოწყობა; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობა; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოწკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის ხელოვნური უსწორმასწორობების (ბორცვები) დამონტაჟება; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება; შუქნიშნის ახალი ობიექტების დაყენება, გზაჯვარედინებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რეკონსტრუქცია და მიერთება მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე, შუქნიშნის მართვის ცენტრის ექსპლუატაცია; თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული დასახლებების, სოფლებისა და დაბის გზებსა და გზაჯვრედინებზე ლითონის ძელებიანი ზღუდარების შეძენა-დამონტაჟება; გზაჯვარედინების რეორგანიზაციის სამუშაოების ჩატარება და გადასასვლელების მოწყობა; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის დამონტაჟება; საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება; თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე არსებულ მრუდეებზე (მოსახვევებში) ანტი-ვანდალური სფერული სარკეების მოწყობა; ერთკომპონენტიანი საღებავით ჰორიზონტალური და ვერტიკალური, თერმოპლასტით და ცივი პლასტით საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება; ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება, სატრანსპორტო საშუალებების პარკირების სპეციალური საშვის დამზადება, „ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემები"-ს განახლება-განვითარება და სხვა ღონისძიებები. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად 2021 წლის განმავლობაში განხორციელდება გარკვეული ოდენობის საგზაო ნიშნების, მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლების, შუქნიშნების, ბოწკინტების, ლითონის ძელებიანი ზღუდარის, სფერული სარკეების, ხელოვნური უსწორმასწორობის ბარიერების (ბორცვები) შეძენა და მონტაჟი, ასევე ავტობუსის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა.

შ.ოგბაიძე - საინტერესოა **საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციისთვის** რა თანხაა გათვალისწინებული ბიუჯეტის პროექტში.

გ.თალაკვაძე - ბიუჯეტის პროექტის თანახმად, პროგრამისთვის **საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01)** განსაზღვრულია **9 290,6 ათასი ლარი.** პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მშენებლობა, აღდგენა -რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას. მოხდება ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, ახალი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა და სხვა. უფრო კონკრეტულად, პროგრამის ფარგლებში 2021 წლიდან დაიწყება ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობა, კახეთის გზაგატკეცილის 12 კმ-ზე მდებარე გზაგამტარის რეაბილიტაცია, სოფელ დიღომში თეთრი გიორგი ქუჩისა და სასაფლაოს დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილის დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლებით გამაგრება, შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლებით გამაგრების პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები, მზიურის პარკში მდებარე საბაგირო გზის სადგურის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები, დედაქალაქის მასშტაბით სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

შ.ოგბაიძე - ბიუჯეტის პროექტში ფიქსირდება კლება გარკვეული პროგრამების დაფინანსების მიმართულებით. კერძოდ, პროექტის თანახმად, ქვეპროგრამა **საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11)** წინა წლებისგან განსხვავებით დაფინანსებულია **59 947,4 ათასი** ლარით. მოგეხსენებათ, რომ ქვეპროგრამის მიზანია რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების უფასო ან შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფით მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური აქტივობის ამაღლება. მიგვაჩნია, რომ მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია თანხის გაზრდა აღნიშნული ქვეპროგრამისთვის.

გარდა ამისა, 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში თანხა არ არის ასახული ქვეპროგრამაში **სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია (კოდი 01 02 05).** აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტით მოცემული ქვეპროგრამისთვის კომპანიის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობის, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M_3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრებისათვის დაბალი ტარიფის შენარჩუნების, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების მიზნით გათვალისწინებული იყო **25 105,5 ათასი** ლარი. კომისიას მიაჩნია, რომ ზ/ა ქვეპროგრამაში შესაბამისი თანხის გათვალისწინება უნდა მოხდეს 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის ფარგლებშიც.

გ.თალაკვაძე - როგორც უკვე მოგახსენეთ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თბილისის ბიუჯეტისთვის უნდა გამოიყოს ტრანსფერი 125 000 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხიდან 50 000 000 უნდა მიიმართოს ქვეპროგრამისთვის **სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია (კოდი 01 02 05).** რაც შეეხება ქვეპროგრამას **საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11),** იმ თანხას (**59 947,4 ათასი** ლარი) რაც ამ მომენტისათვის არის გათვალისწინებული ბიუჯეტში, დაემატება 13 000 000 ლარი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის (125 000 000 ლარი) ფარგლებში მოხდება ქეთევან წამებულის გამზირის სრული რეაბილიტაცია.

შ.ოგბაიძე - მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თუ არა დ. სარაჯიშვილის ქუჩის გამწვანება.

გ.თალაკვაძე - სარაჯიშვილის ქუჩის გამწვანება გათვალისწინებული არ არის.

შ.ოგბაიძე - კომისიის რეკომენდაციები **სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდიასთან** და **საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურების** ქვეპროგრამებთან დაკავშირებით აისახება დასკვნაში და გადაეგზავნება თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან (12-032031836-03; 13.11.2020) დაკავშირებით სატრანსპორტო საკითხთა კომისიის რეკომენდაციები გადაეგზავნოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს.

პატივისცემით,

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ

შალვა ოგბაიძე